საპატრიარქოს უწყებანი

№4
914

31 იანვარი - 6 თებერვალი 2019 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან

ფასი 70 თეთრი

საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

- პატრიარქის ქადაგება
- ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტ ნიკოლოზის (ფაჩუაშვილი) ქადაგება ნინოობის დღესასწაულზე
- იერიქონელი ბრმის განკურნება
- წმიდა ანტონ მარტყოფელის ცხოვრება
- ქართული ფილოსოფიის ისტორიის ცნება
- „საბრალოვ, შეწყვიტე ძილი და მოდი,ერთად ვილოცოთ!“
- არქიმანდრიტი ლეონტი (ბაქრაძე) 1829 — 1907

„ბრძენი ანტონი იდიდებინ დღესა ჩუენ მიერ, რომელმან მოგვისვენა ხატი ღმრთისა, ხელით უქმნელი”

1700 წელი შესრულდა წმ. ნინოს საქართველოში შემობრძანებიდან

27 იანვარს ქიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა სადღესასწაულო ლიტურგია აღასრულა საჩხერის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრი ტაძარში. წმიდა ნინოსადმი განსაკუთრებული სიყვარულის ნათელი მაგალითი

იყო ხალხმრავლობა და განსაკუთრებულად საზეიმო განწყობა. ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ იმერეთის გუბერნატორი ბატონი შავლეგო ტაბატაძე და ქიათურისა და საჩხერის ხელისუფლების წარმომადგენლები. მეუფე დანიელმა ქადაგებისას აღნიშნა, რომ წელს 1700 წელი შესრულდა წმ. ნინოს საქართველოში შემობრძანებიდან და კიდევ ერთხელ შეავედრა ქართველთა განმანათლებელს ჩვენი ქვეყანა. წირვის შემდეგ საზეიმო ტრაპეზი გაიმართა, რის შემდეგადაც, ამ დღის აღსანიშნავად, საერთო სურათი გადაიღეს.

მღვდელი
გიორგი გოგოლაშვილი

ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ღონისძიება ახალი საქართველოს უნივერსიტეტში

ფოთისა და ხობის ეპარქიაში 2019 წლის 26 იანვარს ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ფარგლებში გაიმართა სტუდენტური კონფერენცია თემაზე „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ინტერკულტურული კონტექსტი“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქრისტიანული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტები: ლაშა ხალვაში, გიორგი ჭანიძე, ესმა ტაგიძე, რუსუდან ზოიძე, მღვდელი დავით ლომთაძე და დეკანოზი ილია ლომაია. კონფერენცია გახსნა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის კავკასიური ფილოსოფიის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ლალი ზაქარაძემ.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა შუა საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების ბუნებასა და აქტუალურ საკითხებს. კონფერენციის მთავარ განსახილველ თემას კი წარმოადგენდა ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო შემოქმედება; ამ საკითხის შესახებ წარმოდგენილ მოხსენებებში განიხილეს ნეტარი ავგუსტინეს მოძღვრების შემდეგი ასპექტები: ადამიანის ცოდვით დაცემა, გამოხსნა, წმინდა სამება, ღმერთის პიროვნულობის საკითხი და სხვ. მსჯელობის დროს მომხსენებელთა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნეტარი ავგუსტინეს შემდეგ თხზულებებს: „სამებისათვის“, „ქეშმარიტი სარწმუნოებისათვის“ და „ნეტარი ცხოვრებისათვის“ . კონფერენციაზე წარმოდგენილი ერთ-ერთი მოხსენება კი ეხებოდა შუა საუკუნეების ფილოსოფიის წყაროებს: მასში განხილეს პლატონის, არისტოტელესა და ნეოპლატონიკოსთა გავლენა შუა საუკუნეების მოაზროვნეებზე. სამეცნიერო კონფერენციის უაღრესად საინტერესო ნაწილს წარმოადგენდა ის მოხსენებები, რომელშიც საუბარი იყო შუა საუკუნეების აზროვნების ერთ-ერთ ეზოთერულ მოძღვრებაზე - „კაბალაზე“. ამ მოხსენებებში წარმოჩნდა „კაბალას“ მოძღვრების ძირითადი ასპექტები, რომლებიც, ასევე, ქრისტიანობის შუქზე იქნა გააზრებული. წარმოდგენილ მოხსენებებს თან ახლდა მეტად ნაყოფიერი დისკუსია, რომლის დროსაც, გარდა ზემოჩამოთვლილი საკითხებისა, მიმოიხილეს ანტიკურობისა და ადრეული შუა საუკუნეების აზროვნების ისეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლების მემკვიდრეობა, როგორიცაა - ფილონ ალექსანდრიელი, კაბადოკიელი მამები, მარიუს ვიქტორინუსი, მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი. დისკუსიის პროცესში ამ მოაზროვნეთა შემოქმედების გათვალისწინებამ კონფერენციას კიდევ უფრო მეტი ინტერესი შესძინა.

ნიკოლოზ კოპალეიშვილი
ქრისტიანული ფილოსოფიის მაგისტრი,
ახალი საქართველოს უნივერსიტეტის
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივის
ასისტენტი-მკვლევარი